



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აზუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 573
16/08/2018

573-09-4-201808160925



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 455) ნებართვის გაცემის შესახებ;

2018 წლის 10 აგვისტოს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „ჯი ეს პი გრუპი“-ს მინდობილი პირის ასთამურ ჩაზმავას (პ. ნ. 61001029462) №7723/09 განცხადებაზე, რომელიც ეხება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 455) საცხოვრებელი სახლების (სამი ბლოკი - ცხრა კოტეჯი) მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „ჯი ეს პი გრუპი“-ს მოთხოვნა და გაცემული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (სამი ბლოკი - ცხრა კოტეჯი) მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 455) ნებართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე თავისა და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2018 წლის 14 აგვისტოს N1872-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- 1) დაკმაყოფილდეს შპს „ჯი ეს პი გრუპი“-ს მოთხოვნა და გაცემული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე საცხოვრებელი სახლების (სამი ბლოკი - ცხრა კოტეჯი, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23. 14. 36. 455) მშენებლობის ნებართვა;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;
- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს - ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა